

შპს “სოლარი”

ფინანსური ანგარიშგება

2021 წლის 31 დეკემბერი

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

შპს „სოლარი“
სარჩევი

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
სრული შემოსავლის ანგარიშგება	4
კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება	5
ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება	6
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	7-17

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

შპს „სოლარი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4,658,810	2,493,180
არამატერიალური აქტივები		8,765	10,188
		4,667,575	2,503,368
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	2,050,453	4,276,163
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	681,690	1,904,484
გადახდილი ავანსები	9	1,009,869	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		666,989	-
მარაგები	6	2,748,052	1,626,862
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		123,903	247,608
		7,280,956	8,055,117
		11,948,531	10,558,485
მთლიანი აქტივები			
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		813	813
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		11,924,793	10,532,368
		11,925,606	10,533,181
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	12,808	11,396
გამოუმუშავებელი შემოსავალი			13,909
გადასახდელი ხელფასები		10,117	-
		22,925	25,305
		22,925	25,305
მთლიანი ვალდებულებები		22,925	25,305
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,948,531	10,558,486

ხელმოწერილი პირები:

ნანა მაჭავარიანი - მთ.ბუღალტერი

იური ტყეშელაშვილი - დირექტორი

30 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

შპს „სოლარი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	<i>შენიშვნა</i>	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	11	14,459,427	12,420,846
თვითღირებულება	12	(9,544,207)	(8,936,318)
საერთო მოგება		4,915,220	3,484,528
სხვა შემოსავლები		37,530	32,169
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(468,453)	(621,026)
მიწოდების დანახარჯები		(1,728,754)	(1,408,307)
სხვა ხარჯები		(364,162)	(368,231)
საოპერაციო მოგება		2,391,381	1,119,133
ფინანსური შემოსავალი	14	512,531	526,419
ფინანსური ხარჯი		(612,266)	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(99,735)	526,419
მოგება დაზღვევამდე		2,291,646	1,645,552
მოგების გადასახადი		(61,579)	-
წმინდა მოგება		2,230,067	1,645,552
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		2,230,067	1,645,552

ხელმოწერილი პირები:

ნანა მაჭავარიანი - მთ.ბუღალტერი

იური ტყეშელაშვილი - დირექტორი

30 სექტემბერი, 2022
 თბილისი, საქართველო

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

კაპიტალში ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გადაფასების რეზერვი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2020 წლის 1 იანვარი	813	-	8,893,131	8,893,943
წმინდა მოგება			1,645,552	1,645,552
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	1,645,552	1,645,552
კაპიტალის ცვლილება			-	-
დარიცხული დივიდენდი			-6,314	-6,314
2020 წლის 31 დეკემბერი	813	-	10,532,368	10,533,181
წმინდა მოგება	-	-	2,230,067	2,230,067
სხვა სრული შემოსავალი			-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	-	2,230,067	2,230,067
კაპიტალის ცვლილება			-170,200	-170,200
დარიცხული დივიდენდი			-667,442	-667,442
2021 წლის 31 დეკემბერი	813	-	1,392,425	11,925,606

ხელმოწერილი პირები:

ნანა მაჭავარიანი - მთ.ბუღალტერი

იური ტყეშელაშვილი - დირექტორი

30 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

	31.12.2021	31.12.2020
ფულადი სახსრების მოძრაობა საოპერაციო საქმიანობიდან		
საქონლის გაყიდვა და მომსახურების გაწევა	16,746,235	14,570,752
მომწოდებლებზე გადახდილი სახსრები	(10,907,657)	(8,491,287)
გადახდილი ხელფასები	(1,177,124)	(1,231,719)
გადახდილი გადასახადები	(3,305,502)	(2,478,781)
ფულადი ნაკადები სხვა საოპერაციო საქმიანობიდან	(63,906)	328,241
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,292,045	2,697,206
ფულადი სახსრების მოძრაობა საინვესტიციო საქმიანობიდან		
ძირითადი საშუალებების შეძენა/რეალიზაცია	(2,961,808)	(237,633)
გაცემული სესხები	-	1,055,495
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	(2,961,808)	817,862
ფულადი სახსრების მოძრაობა ფინანსური საქმიანობიდან		
მიღებული პროცენტები	165,607	111,148
გადახდილი დივიდენდები	(634,070)	(1,896,372)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(468,463)	(1,785,224)
წმინდა ფულადი სახსრების ცვლილება	(2,138,226)	1,729,844
კურსთაშორის სხვაობის ეფექტი	(87,484)	90,869
ფულადი სახსრები პერიოდის დასაწყისში	4,276,163	2,455,451
ფულადი სახსრები პერიოდის ბოლოს	2,050,453	4,276,163

ხელმოწერილი პირები:

ნანა მაჭავარიანი - მთ.ბუღალტერი

იური ტყეშელაშვილი - დირექტორი

30 სექტემბერი, 2022
 თბილისი, საქართველო

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „სოლარი“ (შემდგომში „კომპანია“) დაარსდა და დარეგისტრირდა საგადასახადო ორგანოში 2013 წლის 28 მაისს. ფინანსური ანგარიშგების თარიღისთვის კომპანიის მფლობელთა სია წამოდგენილია შემდეგი სახით:

იური ტყეშუჩავა (პ/ნ 58001004392): წილობრივი მონაწილეობა კომპანიაში 50%.
სერაპიონ კუტალია (პ/ნ 01008050161): წილობრივი მონაწილეობა კომპანიაში 50%.

კომპანიის მენეჯმენტი წარმოდგენილია მისი დირექტორისა და პარტნიორის იური ტყეშუჩავას სახით.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს მზესუმზირისა და სხვა მარცვლეულის გადამამუშავება.

კომპანიის იურიდიული მისამართია საქართველო, ქ.თბილისი, სამგორის რაიონი, ორხევი, თ. ჩანტლაძის ჩიხი N4

წარმოდგენილი ანგარიშის ვალუტა

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL). ოპერაციები უცხოურ ვალუტაში, თავდაპირველად ჩაიწერება ფუნქციონალურ ვალუტაში ოპერაციის დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული კურსით. ანგარიშის პერიოდისთვის უცხოურ ვალუტაში არსებული ფულადი აქტივები გადაიყვანება ფუნქციონალურ ვალუტაში საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი წლის ბოლოს არსებული კურსით. ანგარიშსწორებისას წარმოქმნილი ყველა საკურსო სხვაობა აისახება მოგება-ზარალზე.

უცხოური ვალუტის მონეტარული ნაშთების კონვერტირებისათვის გამოყენებული გაცვლითი კურსები არის შემდეგი:

	31 დეკემბერი 2021	31 დეკემბერი 2020
1 აშშ დოლარი/ ლარი	3.0976	3,2766
1 ევრო/ლარი	3,5040	4,0233

1. კომპანიის საოპერაციო გარემო

საქართველო ავლენს ზრდადი ბაზრის გარკვეულ მახასიათებლებს, რომელიც შეიცავს ვალუტის არსებობას, რომლის კონვერტაციაც ვერ ხდება თავისუფლად სხვა ქვეყნების უმრავლესობაში.

საქართველოს საგადასახადო, სავალუტო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს და ხშირ ცვლილებებს. ამასთანავე საქართველოში მოქმედი კომპანიები დგანან არაერთი გამოწვევის წინაშე, რომელიც გამოწვეულია გაკოტრების კანონების განვითარების

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

საჭიროებით, გირავნობის რეგისტრაციის და აღსრულების ფორმალური პროცედურების არარსებობით და სხვა სამართლებრივი და ფისკალური დაბრკოლებებით. საქართველოს მომავალი ეკონომიკური მიმართულება მნიშვნელოვნად დამოკიდებულია, როგორც მისი მთავრობის მიერ გატარებული ეკონომიკური, ფინანსური და მონეტარული პოლიტიკაზე, ასევე სამართლებრივ, მარეგულირებელ და პოლიტიკური გარემოზე.

მენეჯმენტს არ შეუძლია სანდოდ შეაფასოს ფინანსური ბაზრის ლიკვიდურობის შემცირების და სავალუტო ბაზრის გაზრდილი არასტაბილურობის გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე. მენეჯმენტი მიიჩნევს, რომ ისინი იღებენ ყველა საჭირო ზომას, რომ ხელი შეუწყოს კომპანიის მდგრადობას და განვითარებას არსებულ პირობებში.

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბაზის მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია ქართულ ლარში, რომელიც წარმოადგენს კომპანიის სამუშაო ვალუტას.

მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებებს 2021 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2021 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, ფულადი ნაკადების მოძრაობის ანგარიშგებასა და შესაბამის განმარტებით შენიშვნებს.

ფუნქციონირებადი საწარმო

წინასწარი ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მენეჯმენტის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვებაზე. მენეჯმენტის შეფასებით, კომპანია გააგრძელებს ფუნქციონირებად საწარმოდ საქმიანობას, რეალიზებას გაუკეთებს აქტივებს და დაფარავს ვალდებულებებს ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში.

მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკა

ფული და ფულის ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ნაღდ ფულს და ფულს ბანკში და ატარებს ღირებულების ცვლილების უმნიშვნელო რისკს. ფულადი საშუალებები აღირიცხება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. შეზღუდული ნაშთები გამოირიცხება ფულადი საშუალებებისგან ფულადი ნაკადების ანგარიშგების მიზნებისთვის. შეზღუდული ნაშთები რომელთა გამოყენება არ შეიძლება 12 თვის განმავლობაში ვალდებულებების დასაფარად ან სხვა გაცვლითი ტრანზაქციებში გამოყენებისაგან აღიარდება ბალანსზე როგორც სხვა გრძელვადიანი აქტივები.

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით. შემდგომ ხდება მათი შეფასება ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით, გამოკლებული გაუფასურების რეზერვი. გაუფასურების რეზერვი იქმნება მაშინ, როდესაც არსებობს საფუძველი, რომ კომპანია ვერ მიიღებს თავდაპირველი შეთანხმებით განსაზღვრულ შესაბამის თანხას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები და არამატერიალური აქტივები აღირიცხება მათ თავდაპირველ თვითღირებულებას, დაკლებული დაგროვილი ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულებით. ძირითადი საშუალების თვითღირებულება შედგება მშენებლობის ხარჯის ან შესყიდვის ფასისგან, მასთან დაკავშირებული იმპორტის გადასახადების, გამოუქვითავი გადასახადების და სხვა პირდაპირი ხარჯების ჩათვლით. ნებისმიერი სავაჭრო ფასდაკლება გამოაკლდება შეყიდვის ან მშენებლობის ფასს.

მცირე შეკეთება-განახლება აღიარდება მოგება/ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე. ხარჯები დაკავშირებული ძირითადი საშუალებების მნიშვნელოვანი ნაწილის ან კომპონენტების ჩანაცვლებასთან კაპიტალიზირდება და ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყველა აქტივი წარმოდგენილია საწყისი ღირებულებით, გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურების ზარალი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

აქტივის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება მის აღდგენით ღირებულებამდე მაშინვე, თუ აქტივის საბალანსო ღირებულება აღემატება მის სავარაუდო აღდგენით ღირებულებას.

ძირითადი საშუალებების ჩამოწერა/რეალიზაციიდან მისაღები თანხების საბალანსო ღირებულებასთან შედარებით განსაზღვრული სარგებელი და ზარალი აღიარდება მოგება-ზარალში.

ცვეთა

კომპანია არ ფლობს მიწას. ცვეთა ძირითად საშუალებებზე გამოითვლება წრფივი მეთოდით, რათა მოხდეს მათი შესყიდვის ხარჯის გადანაწილება მათი სასარგებლო ვადის განმავლობაში:

	<u>სასარგებლო გამოყენების ვადა (წელი)</u>
-	
შენობა-ნაგებობები	20
მანქანა დანადგარები	12
ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	7
სატრანსპორტო საშუალებები	7
სხვა	5

ნარჩენი ღირებულება არის სავარაუდო ღირებულება, რასაც კომპანია მიიღებდა ამჟამად ძირითადი საშუალების გაყიდვიდან, გაყიდვის ხარჯების გამოკლებით. ძირითადი საშუალებების მოსახურების პერიოდი გადაიხედება ყოველწლიურად და იცვლება საჭიროების შემთხვევაში.

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

არასაფინანსო აქტივების გაუფასურება, მარაგების გარდა

აქტივების ნარჩენი საბალანსო ღირებულების გადამოწმება ხდება თითოეულ საანგარიშგებო თარიღში გაუფასურების ინდიკატორების შესაფასებლად და გაუფასურების შემთხვევაში, ის ჩამოიწერება ანაზღაურებად ღირებულებამდე, გაუფასურების ხარჯის აღიარების გზით. გაუფასურების ხარჯის გაანგარიშება ხდება აქტივის აღდგენით ღირებულებასა და საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობით. ანაზღაურებადი ღირებულება არის გამოყენების ეკონომიკური სარგებლის და სამართლიან ღირებულებას (გამოკლებული გაყიდვის ხარჯები) შორის უმეტესი.

გაუფასურების შესაფასებლად, აქტივები ჯგუფდება იმ დონემდე სადაც შესაძლებელია განცალკევებულად ფულადი სახსრების მოძრაობის იდენტიფიცირება. ყოველი სააღრიცხვო პერიოდის ბოლოს, არაფინანსური აქტივებზე, გუდვილის გარდა, რაზეც მოხდა გაუფასურება, ხდება იმის შეფასება გასაუქმებელი ხომ არ არის გაუფასურების ხარჯი.

სესხები

სესხები თავდაპირველად აღიარდება გარიგების ფასით (ეს არის ბანკში გადასახდელი ფულის დისკონტირებული ღირებულება რომელიც შეიცავს გარიგების ხარჯსაც). სესხების შემდგომი შეფასება ხდება ამორტიზირებული ღირებულებით. საპროცენტო ხარჯი გამოითვლება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით და ახიარდება ფინანსურ ხარჯად.

სესხები კლასიფიცირდება მიმდინარე ვალდებულებად, იქამდე სანამ, საწარმოს არ გააჩნია ვალდებულებების დაფარვის გადავადების უპირობო უფლება საანგარიშო პერიოდის შემდეგ სულ მცირე 12 თვის განმავლობაში.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით და შემდგომ პერიოდში ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით.

იჯარა

იმის განსაზღვრა თუ ხელშეკრულება არის (ან მოიცავს) იჯარას დაფუძნებულია შეთანხმების შინაარსზე. ხელშეკრულება არის, ან მოიცავს იჯარას თუ შეთანხმების შესრულება დაფუძნებულია სპეციფიური აქტივის (ან აქტივების) გამოყენების უფლებაზე, იმ შემთხვევაშიც კი როდესაც ეს აქტივები არ არის აშკარად განსაზღვრული ხელშეკრულების საფუძველზე.

კომპანია, როგორც მოიჯარე

საოპერაციო იჯარა განსხვავდება ფინანსურისაგან. საოპერაციო იჯარის გადახდები აღირიცხება შესაბამისი პერიოდის საოპერაციო ხარჯებად მოგება-ზარალის ანგარიშგებაში, წრფივი მეთოდით, იჯარის ვადის განმავლობაში.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადი წარმოდგენილია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ან დასკვნის თარიღისთვის ამოქმედებული კანონმდებლობის მიხედვით. მოგების გადასახადი წარმოადგენს მიმდინარე გადასახადს და აღიარდება მოგება ზარალის ანგარიშგებაში, იმ შემთხვევის

შპს „სოლარი“ ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები 2021 წლის დეკემბერი

გარდა, როდესაც ის პირდაპირ აღიარებულია კაპიტალში, რადგანაც უკავშირდება ოპერაციებს, რომლებიც იმავე ან განსხვავებულ პერიოდში, ასევე პირდაპირ კაპიტალში აღიარდება.

მიმდინარე მოგების გადასახადი არის მიმდინარე ან გასული პერიოდის დასაბეგრი მოგების გადასახდელი ან ზარალის შესაბამისი მოგების გადასახადის აღდგენადი თანხა. იმ შემთხვევაში თუ ფინანსური ანგარიშგების გამოქვეყნება ხდება საგადასახადო დეკლარაციების ჩაბარებამდე, დასაბეგრი მოგება ან ზარალი ეფუძნება შეფასებებს. გადასახადები, მოგების გარდა, აღირიცხება ადამინისტრაციულ და სხვა საოპერაციო ხარჯებში.

გადავადებული საგადასახადო შემოსავალი აღარ არის შესაბამისი ფინანსურ ანგარიშგებისთვის განახლებული საგადასახადო კოდექსის გამო.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის სხვაობით. ყოველ ანგარიშგების დღეს, მარაგები შეფასებულია გაუფასურებისთვის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

წინასწარ გადახდები

წინასწარი გადახდები აღიარდება თვითღირებულებას გამოკლებული გაუფასურების რეზერვით. წინასწარი გადახდა კლასიფიცირება გრძელვადიანად, როდესაც საქონელი ან მომსახურება, რომელიც სავარაუდოდ, მიღებული იქნება ერთი წლის შემდეგ, ან აღნიშნული წინასწარგადახდა უკავშირდება აქტივს, რომელიც თავდაპირველი აღიარებისას თავად კლასიფიცირებული იქნება გრძელვადიან აქტივად. აქტივების შესაძენად განხორციელებული წინასწარი გადახდები გადავა აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მაშინ, როდესაც კომპანია მიიღებს სრულ კონტროლს ამ აქტივზე და მოსალოდნელია ამ აქტივისგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება.

სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგება-ზარალზე, როდესაც ხდება წინასწარ გადახდებთან დაკავშირებული შესაბამისი საქონლის ან მომსახურების მიღება. თუ არსებობს რაიმე სახის ეჭვი, რომ ვერ მოხდება საქონლის, მომსახურების თუ ძირითადი საშუალების მიღება, რომლისთვისაც წინასწარ გადახდილია თანხა, ამ შემთხვევაში ხდება აღნიშნული წინასწარგადახდის ჩამოწერა მიმდინარე პერიოდის მოგება-ზარალზე.

დივიდენდები

დივიდენდები აღირიცხება, როგორც ვალდებულება და აკლდება კაპიტალს იმ პერიოდში, როდესაც მოხდა მათი გამოცხადება და დამტკიცება.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, შენატანები საქართველოს საპენსიო და სადაზღვეო სისტემაში, წლიური შვებულების და ავადმყოფობის ანაზღაურებები, ბონუსები და არა-ფულადი სარგებლები აღირიცხება იმ წელს, როდესაც მოხდება შესაბამისი სერვისის მიღება თანამშრომლების მიერ.

3. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო მსჯელობები, დაშვებები და შეფასებები

კომპანიის ფინანსური ანგარიშგებების მომზადება მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული შეფასებების და დაშვებების გაკეთებას, რომელიც გავლენას ახდენს მოგების, ხარჯების, აქტივების და ვალდებულებების ღირებულებაზე და მათ შესაბამის შენიშვნებზე და პირობითი ვალდებულების შენიშვნაზე. უზუსტობამ აღნიშნულ შეფასებებში და დაშვებებში შესაძლოა გამოიწვიოს ისეთი შედეგი, რომელიც საჭიროს გახდის აქტივის საბალანსო ღირებულების მატერიალურ კორექტირებას ან გავლენას მოახდენს ვალდებულებას მომავალ პერიოდში.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო კოდექსი და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებს.

ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობა

კომპანია აკეთებს ძირითადი საშუალებების გამოყენების ხანგრძლივობის შეფასებას, სხვადასხვა ფაქტორების გათვალისწინებით, როგორებიცაა: ტექნიკური ან კომერციული მოძველება, მოსალოდნელი წარმადობა, სიმძლავრე და ფიზიკური მდგომარეობა, რაც დამოკიდებულია ოპერაციულ ფაქტორებზე. მიუხედავად იმისა, რომ ხელმძღვანელობა ცდილობს მაქსიმალურად ზუსტად შეაფასოს ძირითადი საშუალებით გამოსახული მომავალი ეკონომიკური სარგებლის მოხმარების მოდელი, ის შეიძლება მნიშვნელოვნად განსხვავდებოდეს რეალური შედეგებისგან, რამაც შესაძლოა მატერიალური გავლენა იქონიოს ფინანსურ ანგარიშგებებში წარმოდგენილ მონაცემებზე.

4. სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილება

ცვლილებები სააღრიცხვო პოლიტიკაში არ გამოვლენილა. შესადარი ინფორმაცია დარჩა უცვლელი წინა სააღრიცხვო პერიოდის შემდგომ.

შპს „სოლარი“

ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები

2021 წლის დეკემბერი

5. ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობა- ნაგებობები	მანქანა- დანადგარები	ოფისის აღჭურვილობა და ავეჯი	სატრანსპორტო საშუალებები	სხვა ძირითადი საშუალებები	ჯამი
ისტორიული ღირებულება							
2020 წლის 1 იანვარი	454,009	853,744	1,334,391	62,179	357,603	9,685	3,071,611
შემოსვლა		14,380	189,365	2,939	25,200	1,633	233,517
გასვლა					-5,000		-5,000
2020 წლის 31 დეკემბერი	454,009	868,124	1,523,756	65,118	377,803	11,318	3,300,128
შემოსვლა	1,247,158	1,400,839	12,000	28,021	64,247		2,752,265
გასვლა			-384,726	-8,003	-89,441		-482,170
2021 წლის 31 დეკემბერი	1,701,167	2,268,963	1,151,030	85,136	352,609	11,318	5,570,223
დაგროვილი ცვეთა							
2020 წლის 1 იანვარი	-	-53,343	-338,177	-25,358	-155,392	-8,373	-580,643
ცვეთის ხარჯი		-43,334	-118,264	-6,477	-55,285	-2,945	-226,305
გასვლა							0
2020 წლის 31 დეკემბერი	-	-96,677	-456,441	-31,835	-210,678	-11,318	-806,948
ცვეთის ხარჯი	-	-50,894	-120,882	-10,155	-40,732		-222,663
გასვლა			47,740	2,168	68,290		118,198
2021 წლის 31 დეკემბერი	-	-147,571	-529,583	-39,822	-183,120	-11,318	-911,413
საბალანსო ღირებულება							
2020 წლის 1 იანვარი	454,009	800,401	996,214	36,821	202,211	1,312	2,490,968
2020 წლის 31 დეკემბერი	454,009	771,447	1,067,316	33,283	167,126	0	2,493,180
2021 წლის 31 დეკემბერი	1,701,167	2,121,392	621,448	45,314	169,490	0	4,658,810

6. მარაგები

სასაქონლო მატერიალური მარაგი	31-Dec-21	31-Dec-20
დაუმთავრებელი წარმოება		
ნედლეული და მასალები	2,684,001	1,531,579
მზა პროდუქცია	23,997	939
სხვა სასაქონლო მატერიალური მარაგი	40,054	94,344
სულ სასაქონლო მატერიალური მარაგი	2,748,052	1,626,862

7. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

	31-Dec-21	31-Dec-20
სავაჭრო მოთხოვნები	681,690	1,001,417
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	681,690	1,001,417

8. ფული და ექვივალენტები

ფული და ფულის ექვივალენტები	31-Dec-21	31-Dec-20
თანხა ბანკში	2,050,110	4,275,943
თანხა სალაროში	343	220
სულ ფული და ფულის ექვივალენტები	2,050,453	4,276,163

9. გადახდილი ავანსები

	31-Dec-21	31-Dec-20
გადახდილი ავანსები	1,009,869	903,067
გადახდილი ავანსები	1,009,869	3,975,532

10. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	31-Dec-21	31-Dec-20
სავაჭრო ვალდებულებები	12,808	4,198
სახელფასო ვალდებულებები	10,117	7,198
სულ სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	22,925	11,396

11. ამონაგები

შემოსავალი	31-Dec-21	31-Dec-20
შემოსავალი პროდუქციის რეალიზაციიდან	14,459,427	12,420,846
სულ შემოსავალი	14,459,427	12,420,846

12. თვითღირებულება

თვითღირებულების ხარჯი	31-Dec-21	31-Dec-20
მასალის ხარჯი	8,931,224	8,369,185
ხელფასი	306,651	287,915
მომსახურებები	65,078	-
ცვეთა და ამორტიზაცია	224,086	227,681
რემონტის ხარჯი	-	-
სხვა ხარჯები	17,168	51,537
სულ თვითღირებულება	9,544,207	8,936,318

13. ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი

ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	31-Dec-21	31-Dec-20
ხელფასები	278,099	410,622
საკომისიო ხარჯები	63,910	4,924
მომსახურების ხარჯები	-	9,294
კომუნიკაციის ხარჯები	5,894	-
სხვა ხარჯები	120,550	196,186
სულ საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	468,453	621,026

14 არასაოპერაციო შემოსავლები

არასაოპერაციო შემოსავალი შედგება საპროცენტო შემოსავლისა და ძირითადი საშუალების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლისგან, ფულადი მოთხოვნებისა და ფულადი ვალდებულებების გადაფასებისგან.

15 მოგების გადასახადი

2016 წლის ივნისში საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის მიმართ ამოქმედდა ცვლილებები. ცვლილებები ძალაში შევიდა 2017 წლის 1 იანვრიდან. ახალი რეგლამენტის მიხედვით, საშემოსავლო გადასახადი დაკისრებულია მოგებაზე რომელიც განაწილებულია დივიდენდების სახით აქციონერებზე, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა განისაზღვრება წმინდა განაწილების მოცულობის 15/85-ით. კომპანიებს შესაძლებლობა ექნებათ 2008-2016 წლებში მიღებული აღნიშნული სახის საშემოსავლო გადასახადი გადაიხადონ მიმდინარე რეგულირების შესაბამისი პერიოდისთვის გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ოდენობით. დივიდენდების განაწილება საქართველოს რეზიდენტ კომპანიებს შორის არ ექვემდებარება აღნიშნულ საშემოსავლო გადასახადს.

ზემოთ აღწერილი საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში განხორციელებული ცვლილებები ასევე ითვალისწინებს კორპორატიული საშემოსავლო გადასახადის დაწესებას გარკვეულ გარიგებებზე, რომლებიც ითვლება მოგების განაწილების გათვალისწინებით, მაგალითად ზოგიერთი გარიგება არასაბაზრო ფასში, არა ბიზნესთან დაკავშირებული ფასები ან საქონლის უფასო მიწოდება. ასეთი გარიგების დაბეგვრა ბასს 12 საშემოსავლო გადასახადის ფარგლებს მიღმა და დაიწყება 2017 წლის 1 იანვრიდან საოპერაციო გადასახადების მსგავსად.

16 პირობები და ვალდებულებები

კომპანიის ხელმძღვანელობა საკუთარი შეფასებისა და შიდა პროფესიული რჩევების საფუძველზე მიიჩნევს, რომ მატერიალურ დანაკარგებს არ ქონია ადგილი და შესაბამისად ფინანსურ ანგარიშგებაში არ აღნიშნულა არავითარი დებულება ამასთან დაკავშირებით.

საგადასახადო კანონმდებლობა

საქართველოს საგადასახადო და საბაჟო კანონმდებლობა ექვემდებარება განსხვავებულ ინტერპრეტაციებსა და ცვლილებებს, რასაც ადგილი შეიძლება ხშირად ქონდეს. კომპანიის მენეჯმენტის მიერ განხორციელებული ასეთი ინტერპრეტაცია შესაძლებელია შესაბამისი ორგანოების მიერ ექვემდებარება იქნას დაყენებული. საქართველოს საგადასახადო ორგანოებმა კანონმდებლობისა და საგადასახადო შემოწმების ინტერპრეტაციაში შესაძლებელია უფრო დახვეწილი და საიმედო მიდგომა განხორციელონ და შესაძლებელია რომ ისეთი საქმიანობის და გარიგების სახეები იქნას გამოწვეული, როგორცაა წარსულში არ ქონია ადგილი. შედეგად შეიძლება შეფასდეს მნიშვნელოვანი დამატებითი გადასახადები, ჯარიმები და ინტერესი.

მენეჯმენტი მიიჩნევს რომ მისი ინტერპრეტაცია შესაბამისია კანონმდებლობასთან და კომპანიის საგადასახადო, სავალუტო კანონმდებლობა და საბაჟო პოზიციები შენარჩუნებული იქნება.

საინვესტიციო ვალდებულებები

კომპანიას არ აქვს საინვესტიციო ვალდებულებები 2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

17 დაკავშირებულ მხარეებთან დაკავშირებული ბალანსი და ოპერაციები

სხვა დაკავშირებული მხარეების ტრანზაქციები:

<i>მენეჯმენტის ანაზღაურება</i>	2021
ხელფასები და სხვა მოკლევადიანი სარგებელი	278 099

18 საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ მომხდარი მოვლენები


2022 წელს ქვეყანაში სრულდება გლობალური პანდემიის მიერ გამოწვეულ სირთულეებთან ბრძოლა, გახსნილია ავია-მიმოსვლა, რამაც ხელი შეუწყო 2021 წლის ეკონომიკურის გარემოს მეტნაკლებად დასტაბილურებას, შეიმჩნევა ეკონომიკური ზრდის ტენდენციები. მთავრობის დადგენილებით გრძელდება ღონისძიებები გლობალური პანდემიის შედეგად გამოწვეული ზარალის შესამცირებლად საგადასახადო შეღავათების კუთხით. კომპანია გადის მისი წარმოების და რეალიზაციის საპროგნოზო მაჩვენებლებზე, გეგმავს წარმოების განვითარებას ახალი ხაზების დანერგვას და გასაღების ბაზრების დივერსიფიკაციას.


შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

შპს „სოლარი“
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	5	4,658,810	2,493,180
არამატერიალური აქტივები		8,765	10,188
		4,667,575	2,503,368
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	8	2,050,453	4,276,163
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	7	681,690	1,904,484
გადახდილი ავანსები	9	1,009,869	-
წინასწარ გადახდილი გადასახადები		666,989	-
მარაგები	6	2,748,052	1,626,862
მისაღები დივიდენდები და პროცენტები		123,903	247,608
		7,280,956	8,055,117
მთლიანი აქტივები		11,948,531	10,558,485
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		813	813
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		11,924,793	10,532,368
		11,925,606	10,533,181
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები		-	-
გადავადებული შემოსავალი		-	-
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	10	12,808	11,396
გამოუმუშავებელი შემოსავალი			13,909
გადასახდელი ხელფასები		10,117	-
		22,925	25,305
მთლიანი ვალდებულებები		22,925	25,305
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		11,948,531	10,558,486

ხელმოწერილი პირები:


 ნანა მაჭავარიანი - მთ.ბუღალტერი


 იური ტყეშელაშვილი - დირექტორი

30 სექტემბერი, 2022
 თბილისი, საქართველო

შპს „სოლარი“
ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2021 წლის დეკემბერი

შპს „სოლარი“
სრული შემოსავლის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2021	31.12.2020
ამონაგები	11	14,459,427	12,420,846
თვითღირებულება	12	(9,544,207)	(8,936,318)
საერთო მოგება		4,915,220	3,484,528
სხვა შემოსავლები		37,530	32,169
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(468,453)	(621,026)
მიწოდების დანახარჯები		(1,728,754)	(1,408,307)
სხვა ხარჯები		(364,162)	(368,231)
საოპერაციო მოგება		2,391,381	1,119,133
ფინანსური შემოსავალი	14	512,531	526,419
ფინანსური ხარჯი		(612,266)	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		(99,735)	526,419
მოგება დაბეგვრამდე		2,291,646	1,645,552
მოგების გადასახადი		(61,579)	-
წმინდა მოგება		2,230,067	1,645,552
სხვა სრული შემოსავალი:			
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-	-
მთლიანი სრული შემოსავალი		2,230,067	1,645,552

ხელმოწერილი პირები:

ნ. მაყაშვილი
ნანა მაჭავარიანი - მთ. ბუღალტერი

იური ტყეშელაშვილი
იური ტყეშელაშვილი - დირექტორი

30 სექტემბერი, 2022
თბილისი, საქართველო